განკარგულება:**გ-81. 81223068**
თარიღი:**02/11/2022**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №56

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ქ. ცაგერში, რუსთაველის ქ. 39-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული მუსიკალური სკოლის შენობის (ს/კ - 89.03.24.001) ნაწილის - 15.00 კვ.მ. ფართის კომერციული საქმიანობისათვის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით - იჯარით გადაცემის შესახებ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის დ.დ ქვეპუნქტის, 61-მუხლის მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტების, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის 669 დადგენილების 36-ე მუხლის და ი/მ ,,ომარი დოღონაძის“ (პ/ნ 60001044858; უძრავის ქონების შემფასებელი, სერთიფიკატი ა-0827) უძრავი ქონების საწყისი საიჯარო ქირის ღირებულების შეფასების შესახებ 2022 წლის 25 ივლისის 25 დასკვნის საფუძველზე,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. თანხმობა მიეცეს, ცაგერის მუნიციპალიტეტის მერს ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ქ. ცაგერში, რუსთაველის ქ. 39-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული მუსიკალური სკოლის შენობის (ს/კ - 89.03.24.001) ნაწილის - 15.00 კვ.მ. ფართის კომერციული საქმიანობისათვის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით - იჯარით გადაცემაზე.

2. წლიური საიჯარო ქირის საფასური განისაზღვროს: ერთი წლის საიჯარო ქირა - 600 (ექვსასი) ლარი, ერთი თვის საიჯარო ქირა - 50 ლარის ოდენობით.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი რუსთაველის ქ. 69) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჭაბუკი ჭაბუკიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. N65, ტელ: +995 551179741
ელ.ფოსტა: tsagerissakrebulo@gmail.com